ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Justice

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის პრეზენტაცია

პრეს-რელიზი

#EU4Georgia

<u>თბილისი. 4 დეკემბერი, 2019</u> – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით **საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის პრეზენტაცია გამართა.**

მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი კლდიაშვილმა** და ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელმა **პიტერ დენისმა.**

„მიუხედავად წლების განმავლობაში განხორციელებული რამდენიმე რეფორმისა, საქართველოში საპროცესო შეთანხმებების გაფორმების პრაქტიკა კვლავ ძალიან აქტიურია და მისი გამოყენების მაჩვენებელი ევროპის საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით მაღალია. ჩვენი კვლევა ემსახურება საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით არსებული ხარვეზების და გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული წინადადებების განსაზღვრას.“ - აღნიშნა **გიორგი კლდიაშვილმა.**

„მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელი სამართლებრივი გარანტიები სათანადოდ იქნას დაცული კვლევაში მითითებულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. კვლევაში მითითებული რეკომენდაციები პროკურატურას დაეხმარება პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათ გადაჭრაში.“ – აღნიშნა ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელმა **პიტერ დენისმა.**

საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია - 2018 წელს 66%, ხოლო 2019 წლის პირველ ნახევარში 64% იყო.
- საქართველოს პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2016-2017 წლებში საპროცესო შეთანხმებებში ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით შემცირებულია.
- სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით საპროცესო შეთანხმებისას ყველაზე ხშირად პირობითი მსჯავრი და ჯარიმა გამოიყენება, ყველაზე იშვიათად კი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

- პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საპროცესო შეთანხმებები ყველაზე ხშირად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე გამოიყენება (50%).
- სასამართლო წარმოების პროცესში საპროცესო შეთანხმების გაფორმება ყველაზე ხშირად პირველი წარდგენის სხდომაზე ხდება.

კვლევა ჩატარდა პროექტის „პროკურატურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

მედიასთან საკონტაქტო ინფორმაცია:

- *თამარ მიქელაძე, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, +995 32 2943763, tamriko.mikadze@eeas.europa.eu*
- *მაგდა გუგავა, IDFI, +995 599 420206, m.gugava@idfi.ge*